



თბილისი


ბრძანება № 11-21
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დაფუძნების, ჟურნალის დებულებისა და
სარედაქციო კოლეგიის დამტკიცების შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.10.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2019 წლის 04 ივნისის #05-19 ოქმის დანართი #1), სამართლის ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის (საბჭოს 2021 წლის 11 თებერვლის ოქმი №02-21) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ჟურნალი „Orbeliani Law Review“ (შემდგომში - „ჟურნალი“).
2. დამტკიცდეს ჟურნალის დებულება ქართულ და ინგლისურ ენებზე დანართების #1 და #2-ის შესაბამისად. ამასთანავე დებულების ტექსტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს დებულების ქართულ ვერსიას.
3. ჟურნალის მთავარ რედაქტორად დაინიშნოს უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი გორაძე.
4. ჟურნალის რედაქტორად დაინიშნოს უნივერსიტეტის პროფესორი უშანგი ბახტაძე.
5. დამტკიცდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დანართი #3-ის შესაბამისად.
6. დაევალოს:
 - a) ჟურნალის მთავარ რედაქტორს (გ. გორაძე) ბრძანების ჟურნალის სარედაქციო კოლეგიისათვის გაცნობა;
 - b) უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს (ც. ხითარიშვილი) ბრძანების სხვა დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა;
 - გ) უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე

ჟურნალი „Orbeliani Law Review“

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ჟურნალი „Orbeliani Law Review“ (შემდგომში - ჟურნალი) არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ოფიციალური, საერთაშორისო, სამეცნიერო, რეფერირებადი და რეცენზირებადი პერიოდული გამოცემა სამართლის მიმართულებით.
2. ჟურნალის მისიაა სამართლის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მის მიზნებს წარმოადგენს სამეცნიერო ღირებულების მქონე სტატიების გამოქვეყნება და მსოფლიოს ცნობილ მონაცემთა ბაზებში ადგილის დამკვიდრება.
3. ჟურნალს მინიჭებული აქვს საერთაშორისო უნიკალური კოდი: ISSN 2667-9667.
4. ჟურნალი გამოიცემა ინგლისურ ენაზე წელიწადში არანაკლებ ერთჯერ.
5. ჟურნალი გამოიცემა მატერიალური ფორმით, ხოლო მისი ელექტრონული ვერსია განთავსდება ვებ გვერდზე და იქნება თავისუფალ წვდომაში.

მუხლი 2. სარედაქციო კოლეგია

1. სარედაქციო კოლეგია შედგება სამართლის დარგის ქართველი და უცხოელი მეცნიერებისაგან.
2. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შედის მინიმუმ 12 წევრი, რომელთა შორის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი არ უნდა აღემატებოდეს ნახევარს.
3. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენება როგორც ონლაინ შეხვედრა, ისე სარედაქციო კოლეგიის წევრთა პოზიციის დაფიქსირება ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
5. სარედაქციო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია მთავარი რედაქტორის ხმა.
6. სარედაქციო კოლეგია:
 - a) განსაზღვრავს სტატიების აკადემიურ სტანდარტსა და სტატიების შერჩევის კრიტერიუმებს;
 - b) განსაზღვრავს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკას;
 - გ) იძლევა თანხმობას ჟურნალში მოცემული სტატიების გამოქვეყნების შესახებ;
 - d) ასრულებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 3. მთავარი რედაქტორი და რედაქტორი

1. ჟურნალს ჰყავს მთავარი რედაქტორი და რედაქტორი, რომლებსაც უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
2. მთავარი რედაქტორი:
 - a) ხელმძღვანელობს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკას;
 - b) ხელმძღვანელობს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას;

- გ) ანაწილებს ფუნქციებს სარედაქციო საბჭოს წევრებსა და ჟურნალის სხვა პერსონალს შორის;
 - დ) თითოეული სტატიისთვის განსაზღვრავს რეცენზენტებს;
 - ე) წარმოადგენს ჟურნალს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - ვ) ასრულებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.
3. რედაქტორი საქმიანობს მთავარი რედაქტორის მიერ განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცვლის მას.

მუხლი 4. სტატიის მიღების წესი და პროცედურები

1. ჟურნალის ყოველი ნომრისათვის ცხადდება სტატიების მიღება უნივერსიტეტის ოფიციალური გვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, რის შესახებ ასევე ეცნობებათ სარედაქციო კოლეგიის წევრებს.
2. სტატია გამოგზავნილი უნდა იქნეს დადგენილ ვადებში ელექტრონული ფორმით.
3. სტატიას თან უნდა ახლდეს განცხადება სარედაქციო კოლეგიის სახელზე ავტორის აკადემიური ხარისხის, ინსტიტუციური აფილირებისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.
4. სტატიის გამოგზავნით, ავტორი ადასტურებს, რომ ის გაეცნო და ეთანხმება ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკას და წესებს.
5. მორიგ ნომერში გამოსაქვეყნებელ სტატიებს შეარჩევს მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის თანხმობით, სტატიის მეცნიერული ღირებულებისა და სარედაქციო პოლიტიკის გათვალისწინებით, განურჩევლად ავტორის რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით.
6. სტატია უნდა აკმაყოფილებდეს ამ დებულების მე-5 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და ეთიკურ ნორმებს. სტატია, რომელიც შესრულებული არ იქნება ამ წესების დაცვით და რომელიც არ შეესაბამება პუბლიკაციის ეთიკის სტანდარტებს, არ განიხილება.
7. სტატია პირველ რიგში მოწმდება თემატიკის მიხედვით და ტექნიკური თვალსაზრისით, რის შემდეგაც ის მოწმდება ანტიპლაგიატის სისტემაში და ეგზავნება რეცენზენტებს.
8. თუ სტატია არ აკმაყოფილებს სტატიისთვის განკუთვნილ ტექნიკურ მოთხოვნებს ან წარმატებით ვერ გაივლის ანტიპლაგიატის პროგრამას, იგი უბრუნდება ავტორს.

მუხლი 5. სტატია

1. სტატია დაწერილი უნდა იყოს ექსკლუზიურად ჟურნალისთვის და მანამდე გამოქვეყნებული არ უნდა იყოს მსოფლიოს არცერთ გამოცემაში.
2. სტატია უნდა ეხებოდეს სამართლის აქტუალურ პრობლემებს და უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ღირებულება. დასაშვებია სტატია ეხებოდეს სამართლის მომიჯნავე დარგებს.
3. ერთ სტატიას შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს ოთხი ავტორი.
4. სტატიის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 8 და არაუმეტეს 25 გვერდისა.
5. სტატიის ტექნიკური პარამეტრებია:
 - a) ფორმატი - A4, მინდვრები - 2 სმ ყველა მიმართულებით, ხოლო მარცხნივ - 2,5 სმ, აზრაცი - 0 სმ, აზრაცებს შორის ინტერვალი - 1, ხაზებს შორის ინტერვალი - 1.15 სმ, შრიფტი - Times New Roman, შრიფტის ზომა - 12 (სქოლიოსთვის - იგივე, შრიფტის ზომა - 10,

ინტერვალი - 1.0, სტატიის სათაურისა და თავებისათვის შესაძლებელია შრიფტის ზომა 14-16);

- b) სტატიის ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება, აგრეთვე გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. სტატიის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით;
 - g) სტატია უნდა შედგებოდეს შესავალი ნაწილის, ძირითადი შინაარსის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. ამასთანავე სტატიის ძირითადი შინაარსი თავის მხრივ უნდა იყოფოდეს თავებად. ყველა თავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან წინა აბზაცისგან 3.0 ინტერვალის დაშორებით. სტატიას ასევე უნდა ახლდეს რეზიუმე და ათამდე ძირითადი სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება;
 - d) სტატიაში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტს მიღმა, კიდური აღნიშვნებით (ე.წ. Footnote). ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოცემული სტატიის ბოლოს.
6. სტატიაში წყაროთა დამოწმება ხდება კიდური აღნიშვნის (სქოლიო) გამოყენებით, ძირითად ტექსტს მიღმა, იმავე ფურცლის ქვედა კუთხეში. სქოლიოების ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები და რიცხვები უწყვეტი ნუმერაციით. ციტირებისა და წყაროთა დამოწმებისათვის გამოიყენება შემდეგი წესი:
- a) სტატია: გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სრული სათაური, ჟურნალის სრული დასახელება, ნომერი (ტომი), წელი, გვერდი (წელი და გვერდი მიეთითება მხოლოდ ციფრებით, „წ.“ და „გვ.“-ის გარეშე). (მაგ.: 1. მაჭავარიანი ს., უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2017, 186.).
 - b) წიგნი:
 - b.ა) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სრული სათაური, გამოცემის ადგილი (ადგილის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში - გამომცემლობა), წელი, გვერდი (წელი და გვერდი მიეთითება მხოლოდ ციფრებით, „წ.“ და „გვ.“-ის გარეშე). (მაგ., მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000, 68.).
 - b.ბ) სტატიათა კრებულის შემთხვევაში - გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური, წიგნის სრული სათაური, რედაქტორი, გამოცემის ადგილი (ადგილის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში - გამომცემლობა), წელი, გვერდი (წელი და გვერდი მიეთითება მხოლოდ ციფრებით, „წ.“ და „გვ.“-ის გარეშე). (მაგ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს ნორმატიული მოწესრიგების ანატომია, წიგნში: კონსტიტუციონალიზმის 800 წელი, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 214.)
 - b.გ) წმინდა წერილის წიგნებიდან ციტირებისას, ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება წერტილით გამოყოფილი წიგნის შემოკლებული სახელი და შემდეგ მიეთითება მძიმით გაყოფილი თავის და მუხლების ნომრები. მაგ.: (მთ. 3, 15) ან (გალ. 4, 5).
 - g) ინფორმაციის გლობალური ქსელი: ვებ-გვერდის დასახელება სამკუთხა ფრჩხილებში, უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – რიცხვი, თვე, წელი, მიეთითება ციფრებითა და რიცხვებით ოთხკუთხა ფრჩხილებში (მაგ., <washingtonpost.com/news> [12.10.2017].). ამასთანავე, გადამოწმების თარიღი არ უნდა იყოს ავტორის მიერ სტატიის გამოგზავნიდან ორ კვირაზე უფრო გვიანი.

მუხლი 6. რეცენზირების წესი

1. ყოველი სტატიისთვის შეირჩევა ორი რეცენზენტი, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სტატიის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოქვეყნებული აქვს შრომები.
2. რეცენზენტი უნდა იყოს ობიექტური, მიუღებელია ავტორის პირადი კრიტიკა.
3. შერჩეული რეცენზენტი, რომელიც თვლის, რომ ვერ შეძლებს რომელიმე სტატიის რეცენზირებას ან ვერ შეასრულებს დათქმულ ვადებში, ამის შესახებ დროულად უნდა აცნობოს რედაქციას და უარი თქვას რეცენზირებაზე.
4. სტატიის ავტორმა არ უნდა იცოდეს რეცენზენტების ვინაობა და არც რეცენზენტებმა - ავტორის ვინაობა.
5. რეცენზირების ვადა მოიცავს 1-4 კვირას.
6. რეცენზია სრულდება სპეციალური სარეცენზიო ფორმის საშუალებით, რომლის საფუძველზე შეიძლება რეცენზია დადებითად ან უარყოფითად იქნეს მიჩნეული.
7. დადებითია რეცენზია, როდესაც რეცენზენტი: ა) დადებითად აფასებს ნაშრომს და არ გააჩნია ნაშრომის მიმართ შენიშვნები; ბ) დადებითად აფასებს ნაშრომს და აქვს მცირე, ტექნიკური ხასიათის შენიშვნები ნაშრომის მიმართ; გ) დადებითად აფასებს ნაშრომს და აქვს მცირე შენიშვნები ნაშრომის მიმართ, რომელთა გამოსწორებისთვისაც არაა საჭირო 2 კვირაზე მეტი.
8. უარყოფითია რეცენზია, როდესაც რეცენზენტი: ა) უარყოფითად აფასებს ნაშრომს და რეკომენდაციას არ უწევს მის დაბეჭდვას; ბ) უარყოფითად აფასებს ნაშრომს და იძლევა რეკომენდაციებს, რომელთა გამოსწორებაც არსებული ნაშრომის ფარგლებში, ნაშრომის ძირეული გადამუშავების გარეშე შეუძლებელია.
9. რეცენზენტს სურვილის შემთხვევაში, სტატიის რეცენზირების პროცესში შეუძლია ავტორს მისცეს გარკვეული ტექნიკური თუ სხვა სახის რეკომენდაციები და შენიშვნები.
10. სტატიის რეცენზირება წარმატებით გავლილად ჩაითვლება ორივე დადებითი რეცენზიის შემთხვევაში.
11. თუ ერთი რეცენზენტის შეფასება დადებითია, ხოლო მეორე უარყოფითი, შენიშვნები ეგზავნება ავტორს. თუ ავტორი არ დაეთანხმება შენიშვნებს, სტატია ეგზავნება მესამე რეცენზენტს. სტატიის რეცენზირება წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ მესამე რეცენზენტის შეფასება იქნება დადებითი.
12. უარყოფითი რეცენზირების შემთხვევაში სტატია ჟურნალში არ გამოქვეყნდება და დაუბრუნდება ავტორს.

მუხლი 7. სტატიის გამოქვეყნება

1. რეცენზირების შემდეგ ხორციელდება სტატიების კორექტურა სტატიის ენობრივი, გრამატიკული და ტექნიკური ხარვეზების გასასწორებლად.
2. კორექტირებული სტატია ეგზავნება ავტორს და მიეცემა არაუმეტეს 1 კვირის ვადისა ტექსტის საბოლოო ვერსიის გამოქვეყნებაზე თანხმობის მისაცემად.
3. ავტორის დასტურის შემდეგ სტატიების საბოლოო რედაქცია მათი მოკლე ანოტაციებით ეგზავნება სარედაქციო კოლეგიის თითოეულ წევრს მათი გამოქვეყნების შესახებ თანხმობის მისაღებად.
4. სარედაქციო კოლეგიის თანხმობის მიღების შემდეგ ხდება ჟურნალის დაკაბადონება და დასაბეჭდად გადაგზავნა.
5. დაბეჭდილი ჟურნალების თითო ეგზემპლარი ეგზავნება სარედაქციო კოლეგიის წევრებს, ხოლო ორ-ორი ეგზემპლარი - ავტორებს.

მუხლი 8. ავტორი და საავტორო უფლებები

1. ავტორი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერი ან დოქტორანტი.
2. შემოსულ და გამოქვეყნებულ სტატიებზე დაცული იქნება საავტორო უფლებები. ავტორთან დაიდება სპეციალური შეთანხმება საავტორო უფლებებზე.
3. ავტორი ვალდებულია ყველა ის პირი მიუთითოს სტატიის თანავტორად, რომლებმაც წვლილი შეიტანეს კვლევის კონცეფციაში, დიზაინში, შესრულებასა და ინტერპრეტაციაში. ასევე უზრუნველყოს, რომ ყველა თანავტორმა ნახოს საბოლოო ვერსია და თანხმობა განაცხადოს მის გამოქვეყნებაზე.
4. მესამე პირის მიერ საავტორო უფლებების შესახებ დავის შემთხვევაში პასუხისმგებელია ავტორი.

მუხლი 9. პლაგიატი

1. ყველა სტატია სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში - StrikePlagiarism.com.
2. ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემა არის საინფორმაციო ტექნოლოგიური, ელექტრონული ინსტრუმენტი, რომელიც ტექნიკური დოკუმენტების ავთენტურობას ადგენს. სისტემურად იგი უზრუნველყოფს, მოიძიოს და მოახდინოს სხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის იდენტიფიცირება, ხელს უწყობს ტექსტის შეფასებას და უთითებს მათ მდებარეობას. ანტიპლაგიატის სისტემა ავლენს იმ იდენტურ ფრაგმენტებს, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში, ინტერნეტ რესურსებში.
3. ანტიპლაგიატის სისტემა ადარებს ყველა ატვირთულ დოკუმენტს შემდეგ მონაცემთა ბაზების წყაროებთან: უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტები; სხვა უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტები; ინტერნეტ რესურსები; RefBooks-ის მონაცემთა ბაზა; სამართლებრივ მონაცემთა ბაზა.
4. ავტორი ვალდებულია მიუთითოს ყველა ის წყარო, რომელიც გამოიყენა თავის ნაშრომში.
5. პლაგიატის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში, ნაშრომი არ გამოქვეყნდება.

მუხლი 10. ეთიკური სტანდარტები

1. ყველა ვალდებულია დაიცვას ეთიკის სტანდარტი.
2. ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატია უნდა გამორიცხავდეს დისკრიმინაციის ყველა ფორმას.
3. სტატია არ უნდა შეიცავდეს სიძულვილის ენას, უცენზურო და შეურაცხმყოფელ ფრაზებს.
4. რედაქციამ და რეცენზენტებმა პატივი უნდა სცენ ავტორის ინტელექტუალურ დამოუკიდებულებას.

მუხლი 11. კონფიდენციალურობა

1. გამოსაქვეყნებლად მიღებული ნებისმიერი სტატია უნდა განიხილებოდეს, როგორც კონფიდენციალური დოკუმენტი.
2. სარედაქციო კოლეგია ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია წარდგენილი სტატიის შესახებ, აგრეთვე მისი ავტორის პერსონალური მონაცემები.

Journal “Orbeliani Law Review”

Statute

Article 1. General Provisions

1. Journal “Orbeliani Law Review” (hereinafter – Journal) is an official, international, scientific, peer-reviewed and referred periodical in the field of law of Sulkhan-Saba Orbeliani University (hereinafter – University).
2. The mission of the journal is to promote the development legal science and it aims to publish the articles of scientific importance and establish itself in the well-known international databases.
3. Journal has an international unique code: ISSN 2667-9667.
4. Journal is published in English language not less than once in a year.
5. Journal is published in material form and its digital version is available on the web-site.

Article 2. Editorial Board

1. Editorial board consists of Georgian and foreigner scientists of the field of law.
2. Editorial board consists of 12 members at least, among which academic staff does not exist half of the members.
3. Editorial board is appointed by the rector of the university after being presented by the board of the faculty of law of the university.
4. Online meeting, as well as expression of the position via official e-mail is used for making a decision.
5. Editorial board makes a decision with simple majority. If the votes are divided, then the vote of the editor in chief is decisive.
6. Editorial board:
 - a) defines academic standard of the articles and criteria of selecting the articles;
 - b) defines the editorial policy of the journal;
 - c) gives approval for the publication of the articles in the journal;
 - d) performs other duties defined in this statute.

Article 3. Editor in Chief and Editor

1. Journal has an editor in chief and an editor, who are appointed by the rector of the university after being presented by the board of the faculty of law of the university.
2. Editor in chief:
 - a) Supervises the editorial policy of the journal;
 - b) Supervises the editorial board of the journal;
 - c) Divides functions between the members of the editorial board and other staff of the journal;
 - d) Appoints the reviewers for each article;
 - e) Represents the journal in the relations with the third parties;
 - f) Performs other duties defined in this statute.
3. Editor performs the activities within the framework of the functions defined by the editor in chief and replaces the latter when he\she is unable to perform his\her duties.

Article 4. Rules and Procedures of accepting an Article

1. Call for the articles is announced for each edition of the journal via the official website of the university and the social network, about which the members of the editorial board are also informed.
2. The Article must be sent in the electronic form within the set timeframe.
3. Article has to be accompanied by an application addressed to the editorial board and containing an academic degree, institutional affiliation and contact information of the author.
4. By providing an article the author certifies that he\she is aware of the editorial policy and rules of the journal and agrees them.
5. Articles to be published in the following number is being selected by the editor in chief, with an approval of the editorial board, considering the scientific value of the article and the editorial policy, regardless to the race, gender, sexual orientation, religious belief, ethnic origin, political views and other characteristics of the author.
6. Article has to comply with the terms and conditions defined in Article 5 of this statute and the ethical norms. The article not complying with these rules and the ethical standards of publication are not considered.
7. Article is at first checked in terms of its themes and technical requirements, after which it is checked in antiplagiarism system and sent to the reviewers.
8. If the article does not comply with the technical requirements for the articles, or is unable to pass the antiplagiarism program successfully, is returned to the author.

Article 5. Article

1. Article has to be written exclusively for the journal and should not be published in any of the publications worldwide beforehand.
2. Article has to concern the actual problems of the law and should have scientific value. It is also admissible if the article concerns the neighboring fields of the law.
3. One article should have not more than four authors.
4. Volume of the article should be not less than 8 and not more than 25 pages.
5. Parameters of the article are the following:
 - a) format – A4, margins – 2 cm in all directions, 2,5 cm in left, paragraph – 0 cm, space between paragraphs – 1, space between lines – 1.15, font – Times New Roman, font size – 12 (for the footnotes – same, font size – 10, space – 1.0, font size for the title of the article and the subjects should be 14-16);
 - b) Each page of the article has to be numbered in sequence. Free space or page should not be left and the pages should not be repeated. Minimal size of the font of the page number is 10. Pages of the article are numbered with Arabic digits;
 - c) Article has to contain introductory part, main content, conclusions and bibliography. Besides, the main content of the article should be divided into chapters. Each chapter should be continued on the same page after 3.0 space after the previous paragraph. Article should be followed by the resume and the keywords up to ten;
 - d) Literature has to be quoted in the article beyond the main text, in footnotes. List of the quoted literature has to be given in the end of the given article.

6. Sources have to be quoted in the article in footnotes, beyond the main text, in the lower corner of the same page. Arabic digits and numbers in uninterrupted sequence are used in numbering the quotes. The following rules are used for naming the sources and quoting:
- a) Article: surname, initial letter of the name, full title of the article, full name of the journal, number (volume), year, page (year and page are indicated only in digits, without “y” and “p.”). (i.e. 1. Machavariani S., Problem of Subordination and Jurisdiction according to Georgian Procedural Legislation, Journal “Justice”, N2, 2017, 186.).
 - b) Book:
 - b.a) Surname, initial letter of the name, full title of the book, place of publication (if the place can not be identified, then the publishing), year, page (year and page are indicated only in digits, without “y” and “p.”). (I.e. Melkadze O., Dvali B., Judicial Power in Foreign Countries, Tbilisi, 2000, 68.).
 - b.b) In case of the collection of articles – Surname, initial letter of the name, title of the article, full title of the book, editor, place of edition (if the place of publication can not be identified, then the publishing), year, page (year and page are indicated only in digits, without “y” and “p.”). (I.e. Javakhishvili P., Anatomy of Regulating of the Veto by the President of Georgia, in: 800 Years of Constitutionalism, edited by D. Gengenava and P. Javakhishvili, Tbilisi, 2017, 214).
 - b.c) When quoting the sacred writing books, the brackets are opened at the end of the quote, where the shortened titles of the books separated with the full stops are written and the numbers of the articles and chapters separated by commas are indicated afterwards. (Mt. 3,15), or (Gal. 4,5).
 - c) Global network of the information: name of the web-page in triangle brackets, date of the last check – date, month, year are indicated in digits and numbers in quadrangular brackets (I.e. <washingtonpost.com/news> [12.10.2017]). Besides, date of the last check should not be later than two weeks after the date of sending the article by the author.

Article 6. Rule of Review

1. Two reviewers will be selected for each article, who can be only the one holding doctoral degree, or similar academic degree, who has published works in the field connected to the scientific subject of the article.
2. Reviewer has to be objective, personal critics of the author is inadmissible.
3. Selected reviewer, who considers that he\she will not be able to review an article, or will not be able to do it in the defined deadlines, editorial board has to be informed about it and the reviewer should refuse the review.
4. Author of the article should not be aware of the identity of the reviewer, neither the reviewer – of the identity of the author.
5. Duration of the review includes 1-4 weeks.
6. Review is made by means of special review form, based on which the review can be considered as positive, or negative.
7. Review is positive, when the reviewer: a) evaluates the work positively and does not have comments to the work; b) evaluates the work positively and has minor technical notices towards

the work; c) evaluates the work positively and has minor notices to the work, which can be complied in not more than 2 weeks.

8. Review is negative, when the reviewer: a) evaluates the work negatively and does not recommend its publication; b) evaluates the work negatively and gives recommendations, which can be complied within the framework of the existing work only with the essential modification of the work.
9. Reviewer can consult with the author and give technical, or other recommendations and notices to the author in the reviewing process, if necessary.
10. The article will be considered as successful if both of the reviews are positive.
11. If one review is positive and another one is negative, the notices are sent to the author. If the author disagrees with these notices, the article is sent to the third reviewer. The article is successfully reviewed if the evaluation of the third reviewer is positive.
12. If the reviews are negative, the article will not be published and will be returned to the author.

Article 7. Publication of the Article

1. After reviewing the article, it is edited in order to correct the grammatical, technical and lingual defects.
2. Edited article is sent to the author who has to agree the publication of the final version of the text in one week.
3. After being approved by the author the final version of the article with the short annotations is sent to each member of the editorial board in order to receive approval on their publication.
4. After being approved by the members of the editorial board the journal is imposed and sent for publication;
5. Single copies of the published journals are sent to the members of the editorial board and two copies are sent to the authors.

Article 8. Author and Copyright

1. Author can be a scientist having doctoral, or similar degree, or doctoral student.
2. Copyright is protected regarding received and published articles. Special agreement concerning copyright will be concluded with the author.
3. Author has to indicate all of the co-authors, who have contributed in the research concept, design, performance and interpretation. The author also has to make sure that all coauthors are aware of the final version and agree on its publication.
4. The author is responsible if the third person argues about the copyright.

Article 9. Plagiarism

1. All articles are subjected to the mandatory check in the electronic antiplagiarism program - StrikePlagiarism.com.
2. Antiplagiarism electronic system is information technological, electronical instrument, which identifies authenticity of the technical documents. Systemically it ensures to search and identify the information taken from another source, promotes the evaluation of the text and indicates its location. Antiplagiarism system finds the identical fragments, which are placed in several databases and internet resources.

3. Antiplagiarism system compares all uploaded documents with the following database sources: documents in the university database, documents in the databases of the other universities, internet resources, RefBooks databases, legal databases.
4. Author has to indicate all of the sources used in the work.
5. If any form of plagiarism is detected, the work will not be published.

Article 10. Ethical Standards

1. Everyone has to comply with the ethical standards.
2. The article provided by the author has to exclude all forms of discrimination.
3. Article should not contain hate speech, unprintable and insulting phrases.
4. Editorial board and reviewers have to consider the intellectual independence of the author.

Article 11. Confidentiality

1. Each article received for publication has to be considered as the confidential document.
2. Editorial board is obliged not to disclose the information about the provided article and personal data of its author.

ჟურნალი „Orbeliani Law Review“

სარედაქციო კოლეგია

1. გიორგი გორაძე (პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)
2. უმანგი ბახტაძე (პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)
3. ავთანდილ დემეტრაშვილი (პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)
4. რიჩარდ ალბერტი (პროფესორი, ტექსასის უნივერსიტეტი, ოსტინი)
5. რობერტ შაპირო (პროფესორი, სან დიეგოს უნივერსიტეტი)
6. პიოტრ სტანიში (პროფესორი, იოანე-პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი)
7. კშიშტოფ ვიაკი (პროფესორი, იოანე-პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი, პოლონეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე)
8. ლადო ჭანტურია (პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე)
9. გიორგი კვერენჩილაძე (პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე)
10. გიორგი ხუბუა (პროფესორი, ბერლინის შტაინბაისის უნივერსიტეტი)
11. არისტოტელე კონსტანტინიდესი (ასოცირებული პროფესორი, კვიპროსის უნივერსიტეტი)
12. დევიდ რუანო დელგადო (პროფესორი, სარაგოსას უნივერსიტეტი)
13. გრეის ლი (ასოცირებული პროფესორი, სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის)
14. ლორან ჩინკი (ასოცირებული პროფესორი, პაზმანი პეტერის კათოლიკური უნივერსიტეტი)
15. ნატალი ფოტინი (ასოცირებული პროფესორი, ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი)
16. ფელიპე გომეს ისა (პროფესორი, დეუსტოს უნივერსიტეტი)
17. ლუის დანიელ მუკა ჩიბენდე (ასოცირებული პროფესორი, ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი)



შ.პ.ს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმი N 02-21

ელექტრონული პლატფორმა:

Hangouts Meet

11.02.2021

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი გორაძე - ფაკულტეტის დეკანი, აფილირებული პროფესორი
2. დიმიტრი გეგენავა-პრორექტორი, აფილირებული პროფესორი
3. ავთანდილ დემეტრაშვილი, აფილირებული პროფესორი
4. ნაზიბროლა ჩინჩალაძე-აფილირებული ასოცირებული პროფესორი
5. ნატო გუგავა - აფილირებული ასოცირებული პროფესორი
6. გიორგი მესხი - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი
7. თენგიზ თევზაძე-აფილირებული ასისტენტი
8. ლიანა გიორგაძე-აფილირებული ასისტენტი
9. ლიკა კობალაძე-აფილირებული ასისტენტი
10. თამარ პაპაშვილი - აფილირებული ასისტენტი
11. გიორგი უსტიაშვილი - აფილირებული ასისტენტი
12. ნინო ქათამაძე - აფილირებული ასისტენტი
13. მაკა ფარცვანია -აფილირებული ასისტენტი
14. შალვა ყიფშიძე - აფილირებული ასისტენტი
15. მარიამ ხოფერია - პროფესორი, (სათათბირო ხმის უფლებით)
16. ივა ვასილევა- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
17. ოთარ ქიმერიძე- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი
18. მონიკა გაბუნია- დეკანის თანაშემწე (ხმის უფლების გარეშე)

სხდომა გადაწყვეტილებასთან

სხდომის თავმჯდომარე - გიორგი გორაძე

სხდომის მდივანი - მონიკა გაბუნია

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 20:00 საათზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსიანია.

სხდომის თავმჯდომარემ - გიორგი გორაძემ, სამართლის ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო ინგლისურენოვანი, რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალის „Orbeliani Law Review“-ს დაფუძნება;
2. ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დებულების დამტკიცება;
3. ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრების დამტკიცება;
4. ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს მთავარი რედაქტორისა და რედაქტორის არჩევა.

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. საბჭოს სხდომის წევრებმა მოიწონეს ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დაფუძნების ინიციატივა და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. გიორგი გორაძის განმარტება - დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით. მან საბჭოს წევრებს აუწყა ჟურნალის დაფუძნების იდეისა და კონცეფციის, ასევე, შერჩეული სახელწოდების შესახებ. გიორგი გორაძემ აღნიშნა, რომ ჟურნალის სახელწოდებად შეირჩა - „Orbeliani Law Review“, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის დასახელებასა და სამართლის მიმართულებით სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობას. აღნიშნული ჟურნალი იქნება საერთაშორისო, სამეცნიერო, რეფერირებადი და რეცენზირებადი პერიოდული გამოცემა სამართლის მიმართულებით, რომლის მისიაც არის სამართლის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მიზანია სამეცნიერო ღირებულების მქონე სტატიების გამოქვეყნება და მსოფლიოს ცნობილ მონაცემთა ბაზებში ადგილის დამკვიდრება.

საბჭოს წევრები დაეთანხმდნენ წარმოდგენილ ინიციატივას და აღნიშნეს, რომ ამგვარი საერთაშორისო მასშტაბის ჟურნალი ნამდვილად ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და უპირველესად, უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს, გაიზრდება ცნობადობა, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, მსოფლიოს ცნობილ მონაცემთა ბაზებში ადგილის დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ - კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დაფუძნების შესახებ:

მხარი დაუჭირა - 16

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

დაფუძნდეს ინგლისურენოვანი, საერთაშორისო, სამეცნიერო, რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი სახელწოდებით - „Orbeliani Law Review“. გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორს.

2. გიორგი გორაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ჟურნალის დებულება, რომელიც მათ წარუდგინა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. დებულება შედგება 11 მუხლისაგან, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებას, სარედაქციო კოლეგიის, მთავარი რედაქტორისა და რედაქტორის არჩევის წესს, განსაზღვრავს სტატიის მიღებისა და გამოქვეყნების პირობებს, სტატიების ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების სავალდებულოობას, ასევე სრულად უზრუნველყოფს ავტორთა საავტორო უფლებებს, კონფიდენციალურობასა და ეთიკის სტანდარტებს.

საბჭოს წევრებს დებულებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ, აღინიშნა, რომ დებულება შეესაბამება ჟურნალის კონცეფციას და სრულად უზრუნველყოფს, როგორც ავტორების, ისე უნივერსიტეტის, ინტერესების დაცვას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დებულების მოწონების შესახებ:

მხარი დაუჭირა - 16

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

მოწონებულ იქნას ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დებულება და მისი დამტკიცება ეთხოვოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორს.

3. სხდომის თავმჯდომარემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრების სია. სარედაქციო კოლეგია შედგება 17 წევრისაგან, საიდანაც მხოლოდ 3 არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 11 წევრი არის უცხოელი, ისეთი ცნობილი უნივერსიტეტებიდან, როგორცაა: ტექსასისა და სან-დიეგოს უნივერსიტეტები, სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, სარაგოსას უნივერსიტეტი, იოანე-პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი, ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი და ა.შ.

აზრი გამოთქვას:

ავთანდილ დემეტრაშვილმა, აღნიშნა, რომ მას ძალიან ახარებს ის ფაქტი, რომ ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში თვითონაც არის მოაზრებული, თან ასეთი შთამბეჭდავი კოლეგების გვერდით. უნივერსიტეტს მიულოცა ჟურნალის დაფუძნება და წარმატება უსურვა.

ლიანა გიორგაძემ ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ნამდვილად ღირსეული და პატივსაცემი წევრებით იყო წარმოდგენილი, რაც მის მაღალ ხარისხსა და ცნობადობას უზრუნველყოფდა, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

საბჭოს თავმჯდომარემ - კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს სარედაქციო კოლეგიის წარმოდგენილი სახით მოწონების შესახებ:

მხარი დაუჭირა - 16

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს სარედაქციო კოლეგია და დასამტკიცებლად წარედგინოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორს.

4. დიმიტრი გეგენავამ საბჭოს წევრებს შესთავაზა, მთავარი რედაქტორისა და რედაქტორის პოზიციაზე გიორგი გორაძისა და უშანგი ბახტაძის კანდიდატურები - მათი აკადემიური, სამეცნიერო და სარედაქციო გამოცდილებისა და ასევე, როგორც მშობლიური, ისე ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ - კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს მთავარი რედაქტორისა და რედაქტორის დანიშვნის შესახებ:

მხარი დაუჭირა - 16

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ის მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე მოწონებულ იქნეს გიორგი გორაძის კანდიდატურა, ხოლო რედაქტორის თანამდებობაზე - უშანგი ბახტაძის კანდიდატურა. აღნიშნული კანდიდატურები დასანიშნად წარედგინოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორს.


გიორგი გორაძემ მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გამოხატული ნდობისთვის.

დასასრულს სხდომის თავმჯდომარემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო თებერვლის თვის ღონისძიებების კალენდარი, რომელიც ბევრ აქტივობას ითვალისწინებს საჯარო ლექციების, წიგნების წარდგენისა და სემინარების სახით და მოუწოდა მათ მაქსიმალური ჩართულობისკენ.

საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილია:

1. ჟურნალ „Orbeliani Law Review“-ს დებულება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
2. სარედაქციო კოლეგიის წევრთა ჩამონათვალი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გიორგი გორაძე
სხდომის თავმჯდომარე



მონიკა გაბუნია
სხდომის მდივანი

მ. გაბუნია